№ 69 მთავრობის მოამბე უოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 2 მან. შაბათი, 27 მარტი 192 წ

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 40 მან., ცალკე ნომერი უველგან 2 მა. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე-4 გვ. 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო თეატრი

ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით

შაბათს, 27 მარტს, ოპერა მუშებისათვის

კ ა მ ო ტ რ ა.

კვირას, 28 მარტს დილით „პიკის ქალი“. საღამოს გუნდის ბენეფისი და ნ. პ. კოშიცის შეცვლილი გასტროლი „ტოსკა“. 29 მარტს ტენორ მიხეილ ნანობაშვილის (მიშელ დარიალის) პირველი გასტროლი „ვერტერი“ 361

საქ. სოც.-დემ. მუშათა პარტიის

სილნაღის სამაზრო კომიტეტი ამით აცხადებს,

რომ 1-ლ აპრილისთვის (ახალი სტილით) დანიშნულია სამაზრო პარტიული კონფერენცია. განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) სამაზრო კომიტეტის მოხსენება, 2) მოხსენებანი ადგილებიდან. 3) თანამედროვე მომენტი, 4) პარტიული მუშაობა მაზრაში, 5) სამაზრო ერობის სოც. დემოკრ. ფრაქციის მოხსენება და 6) მიმდინარე საკითხები. თვითეულ საორგანიზაციას ევალება გამოგზავნოს ხსენებულ კონფერენციაზედ დასასწრებლად ორ-ორი წარმომადგენელი. კონფერენცია შესდგება ქ. სიღნაღში, სასამართლოს შენობაში დილის 10 საათზედ.

355 3—2 **სამაზრო კომიტეტი.**

ტფილისის ქალაქის საგზაო საბარჩევნო კომისია

ამით აცხადებს, რომ 27, 28 და 29 მარტს

მოხდება დამფუძნებელ კრების დამატებითი არჩევნები

დიდუბეში მე-50 საარჩევნო უბანში, მე-12 უბნის სასყრისათო კომიტეტის ბინაზე, გლისებედის და გლდანის ქუჩების კუთხეში. 356 3—2

მინაო-მოქმედ. სამინისტროს სახელმწიფო მამულთა სექცია

აცხადებს, რომ გიაურ-არხის სახელმწიფო მამული „კულლარი“-ში მოხდება საჯარო ვაჭრობა მანთაშევისეულ მამულის ორი წისქვილის იჯარით გასაცემად.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება გიაურ-არხის სახელმწიფო მამულის კანტორაში.

მისამართი: სადგ. სანდარი, გიაურ-არხის სახელმწიფო მამული. 335 3—2

საქ. რესპ. ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველო

იძლევა იჯარით ხასტამბო სამუშაოებს

ხსენებულ სამუშაოთა აღებისა მსურველთ შორის დანიშნულია ფარული შეჯიბრება აპრილის 15-ს. დაწვრილებით პირობების გაგება და სამუყაოს გაცნობა შეიძლება სამმართველოში (რუსთაველის პროსპექტი № 43) ყოველ დღე, ნაშუადღევის 3 საათამდე. ვისაც სურს შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება, თავისი საბოლოო პირობები დახურულ კონვერტში უნდა წარუდგინოს სამმართველოს 15 აპრილის შუადღის 12 საათამდე. 360 3—1

ოფიციალური განყოფილება

საქართველოს დამფუძნებელი კრება

რატიფიკაცია

საქართველოს და ადერბეიჯანის რესპუბლიკების მთავრობათა შორის დადებულ ხელშეკრულობისა.

საქართველოს რესპუბლიკის და ადერბეიჯანის რესპუბლიკის მთავრობათა შორის ქალაქ ბაქოში ამა ათას ცხრაას ოცი წლის თებერვლის ხუთს დადებული ხელშეკრულობა ტრანზიტის შესახებ დამტკიცებულ იქნეს.

1920 წ. მარტის 19.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხ. **ალ. ლიპართიანი.**

—

ბაქო, ათას ცხრაას ოცსა წელსა, თებერვლის 5-სა დღესა. ერთის მხრით ადერბეიჯანის რესპუბლიკის მთავრობამ, წარმოდგენილმა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის და მომარაგების მინისტრის მამედ-ჰასან გაჟინსკისა და გზათა მინისტრის ბუდადად-ბეგ შულიქ-ასლანოვის მიერ, ხოლო მეორის მხრით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ წარმოდგენილმა მისი დიპლომატიური წარმომადგენლის გრიგოლ კონსტანტინეს ძის ალშიბაიას მიერ, დასდეს ესე ხელშეკრულება ქვემორე ხსენებულისათვის:

მუხ. 1. აზერბეიჯანის ფარგლების გარედან ადერბეიჯანის რკინის გზით საქართველოში შემავალი ან საქართველოდან ადერბეიჯანის ფარგლების გარეთ მიმავალი ტვირთისათვის და აგრეთვე საქართველოს ფარგლების გარედან საქართველოს რკინის გზით აზერბეიჯანში მიმავალ, ან ადერბეიჯანიდან საქართველოს ფარგლების გარეთ მიმავალ ტვირთისათვის დაწესებულ იქნეს თავისუფალი ტრანზიტი ე. ი. უბაჟო ტრანზიტი, ყოველგვარ ნებართვის, შუამდგომლობისა და დაბრკოლების თვინიერ მხოლოდ აუცილებელი საბაჟო ფორმალობის შესრულებით.

შენიშვნა 1: დასამუშავებელი სატრანზიტო ტვირთი, საშინაო სახმარად საჭირო იმ რესპუბლიკისათვის, სადაც იგი იგზავნება და იმ რაოდენობისა, რომელსაც რეული კომისია განსაზღვრავს, შეიძლება დაჭერილ იქნეს დასამუშავებელი იმ რესპუბლიკის ფარგლებში, სადაც იგი მიემართება, ხოლო არ უნდა დაჰკარგოს ტრანზიტობის ხასიათი.

შენიშვნა 2: ხელშეკრულება ესე არ შეეხება ორივე რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადაზიდულ-გადმოზიდულ ტვირთს.

შენიშვნა 3: ტვირთის ტრანზიტობა ურთიერთ შორის შეთანხმებით გადასწყდება ორივე მხრისათვის საერთო განსაკუთრებულის ნიშნებით, აგრეთვე სატრანზიტო ტვირთის შესვლელობის წესი ხელშეკრულების დამდები თვითეული მხრისათვის მოწესრიგდება, ურთიერთ შორის შეთანხმებით, ორსავე რესპუბლიკისათვის საერთო წესით.

მუხ. 2. ადერბეიჯანის მთავრობა ნებას დაჰრთავს საქართველოში გასატანად მის მცხოვრებთა და რკინის გზათათვის საჭირო ნავთისა და მისი პროდუქტისა. გასატანი ნავთისა და მისი პროდუქტის რაოდენობას განსაზვრავს რეული კომისია (მუხ. 17), მაგრამ იგი საერთო რიცხვით წელიწადში თექვსმეტ მილიონ ფუთს არ უნდა აღემატებოდეს.

მუხ. 3. მე-2-ე მუხლში აღნიშნული გასატანი ნავთისა და მისი პროდუქტის რაოდენობიდან, ის რაოდენობა, რომელიც რეული კომისიის გადაწყვეტილებით დასჭირდება საქართველოს რკინის გზებს, მაგრამ წელიწადში საერთო რიცხვით არა უმეტეს ათი მილიონი ფუთისა, თავისუფალია ბაჟისა, აქციზისა და დანარჩენი სახელმწიფო გადასახადებისაგან, ამასთანავე ამ ათ მილიონ ფუთში ბენზინისა და სხვა პროდუქტის რაოდენობას რეული კომისია განსაზღვრავს, დაახლოვებით 1919 წლის ნორმების ფარგლებში.

დანარჩენ ექვს მილიონ ფუთი ნავთისა და მისი პროდუქტიდან ნავთი და მაზუთი, ან ერთიცა და მეორეც ერთად, არა უმეტეს 4.5 მილიონი ფუთისა და, მცხოვრებთა საჭიროებისათვის გატანილი კეროსინი არა უმეტეს მილიონ ნახევარი ფუთისა, თავისუფალია გასატანი ბაჟისაგან, მაგრამ დაედება ყოველი ის გადასახადი, რომელიც დღეს არსებობს ან მომავალში დაწესდებაადერბეიჯანისათვის სახმარ ნავთ-მაზუთ-კეროსინისათვის.

ხოლო თუ აქ მოხსენებულ 4½ მილ. ფუთ ნავთის და მაზუთის ანგარიშში ნავთის სხვა პროდუქტის მოთხოვნილებაც განცხადებულ იქნება, სახელდობრ ბენზ., ზეთეულსა და სხვაზე მაშინ საქართველოში მათი გატანის რაოდენობას განსაზღვრავს რეული კომისია დაახლოვებით 1919 წ. გატანილის ფარგლებში და იგი თავისუფალია ბაჟისაგან, მაგრამ დაედება ადერბეიჯანის საშინაო სახმარებლისათვის არსებული აქციზი და აგრეთვე ყოველი დაწესებული გადასახადი.

მუხ. 4. რეული კომისია სათვალავში ჩაიგდებს ორივე რესპუბლიკის რკინის გზათა მამოძრავებელ შედგენილობას და უზრუნველყოფს საქართველოს რკინის გზებს და მოსახლობას ნავთითა და მისი პროდუქტით ყოველთვიურად მათი თანაბარი რაოდენობის გაზიდვით. უკეთუ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა თვითონ მოახერხებს თავისი საკუთარი მამოძრავებელი შედგენილობით ორთვიურ ნორმის ნავთისა და მისი პროდუქტის გაზიდვას, ადერბეიჯანის რესპუბლიკა ხელს არ შეუშლის. ამ გადაზიდვის მოწესრიგებასაც რეული კომისია აწარმოებს (მუხ. 7).

მუხ. 5. ორთვიურ თანაბარ პარტიებად გაზიდვის განსაზღვრა არა გრცელდება მცირე რაოდენობის პროდუქტზე, სახელდობრ: ბენზინსა, ზეთეულზე და სხვ.

შენიშვნა 2: რეული კომისიის მიერ განსაზღვრული ყოველთვიურად სახმარებელი ნავთის პროდუქტის რაოდენობის ფარგლებსა და ანგარიშში საქართველოს მთავრობას უფლება აქვს აზერბეიჯანის მთავრობას მოსთხოვოს არა უმეტეს საქართველოს რკინის გზებზე ან ნავთსთადენი მილით გატარებულ ნაბევარი პროდუქტისა. ამ შენიშვნის თანახმად ნავთის პროდუქტის რაოდენობაზე ანგარიშის გასწორება სწარმოებს ყოველ 15-დღეში ერთხელ ხელშეკრულების დამდებ ორივე მხარი სარკინისგზო სამმართველოთა მიერ.

მუხ. 5. საქართველოს მთავრობა თავისი მხრით უბაჟოთ და სახელმწიფოს სხვა გადასახდის გადაუხდელად ნებას დართავს ქვანახშირისა, ხე-ტყისა და სხვა მასალისა, სამუშაო იარაღების (ინსტრუმენტებისა) და სხვა საგანთა გასატანად აზერბეიჯანის რესპუბლიკის რკინის გზათა საჭიროებისათვის, შერეულ კომისიის მიერ განსაზღვრულის რაოდენობით.

მუხ. 6. საქართველოს მთავრობა აგრეთვე ნებას დართავს, საქართველოს მთავრობასთან მყოფ აზერბეიჯანის მთავრობის დიპლომატიურ წარმომადგენლის საგანგებო ნებართვით, უბაჟოდ და სახელმწიფო გადასახადის გადაუხდელად გატანილ იქნეს სხვა საქონელი და სხვა ნაწარმოებნი, პურის ყოველგვარ ნაწარმოებისა, ბაქრისა და ტყავეულის გარდა, ხელშეკრულების მე-2 მუხლის საფუძველით საქართველოში შემოტანილ ნავთისა და მის პროდუქტის ღირებულების ერთი მეათედის საფასურისა. გაზიდულ საქონლისა და ნაწარმოებთა ნამდვილ რაოდენობას და ღირებულებას ყოველ ორ თვეში ერთხელ განსაზღვრავს რეული კომისია.

მუხ. 7. საქართველოს რკინის გზათა საჭიროებისათვის ნავთს შეიძენს ბაქოს ნავთის მრეწველთა ყრილობის საბჭოს ნავთის გამყიდველ ბიუროში შემდეგს ფასებში:

ნავთსა და მაზუთს 10 მან. 50 კ.

კეროსინ[ს] 21 მან.

ამა წლის იანვარში ნავთის ტვირთისათვის არსებულის ტარიფით.

ნავთის დანარჩენ პროდუქტის ფასები განისაზღვრება ამა მუხლის შენიშვნის მიხედვით. ამ ტვირთებისთვის რკინის გზის ტარიფის მომავალში გადიდების დროს, ზემოხსენებულ ნაწარმოებთა ფასი უოველთვე განისაზღვრება შემდეგის ფორმულით:

$$a + \frac{a \cdot (n-1)}{2}$$

ამ ფორმულაში: a—ზემოადნიშნული ნაწარმოების ფასია

x—შემდეგის ფორმულით გამოიხატება

$$x = \frac{\frac{k}{c} \times M + \frac{k'}{c'} \times M' + \frac{k''}{c''} \times M''}{M + M' \times M''}$$

რომელშიაც c—არის რკინის გზის ტარიფის გადიდების კოეფიციენტი ზეთეულისა ამა წლის იანვარში, 1917 წ. ივლისის 10-დან.

c'—იმავე გადიდების კოეფიციენტი საკვლიცო ნავთისა და მაზუთისა.

c''—იმავე გადიდების კოეფიციენტი ზეთეულისა და ბენზინისათვის.

k—კეროსინზე რკინის გზის 1917 წ. 10 ივლისიდან არსებულ ტარიფის მოხალდნელი გადიდების კოეფიციენტია:

k'—იმავე გადიდების კოეფიციენტი საკვლიცო ნავთისა და მაზუთისათვის;

k''—იმავე გადიდების კოეფიციენტი ზეთეულისა და ბენზინისათვის.

M—ბაქოდან რკინის გზათა ან ნავთის სადენით გატანილი კეროსინის რაოდენობაა, ფასის განსაზღვრის წინა თვეში, საკალენდრო თვის განმავლობაში.

M'—ბაქოდან რკინის გზით ან ნავთსადენი მილით გატანილი ნავთისა და მაზუთის რაოდენობაა, ფასის განსაზღვრის წინა თვეში, საკალენდრო თვის განმავლობაში.

M''—ბაქოდან რკინის გზით გატანილ ყველა ზეთეულისა და ბენზინის რაოდენობაა, საკალენდრო თვის განმავლობაში, ფასის განსაზღვრის წინა თვეს.

შენიშვნა: ნავთის პროდუქტის შესყიდვის დროს, რომლის გატანაც განსაზღვრულია ბიუროსაგან ნავთის ეკვივალენტის რაოდენობის მიხედვით ნებადაურთველად, ეს უკანასკნელი დაეთმობა იმ ფასად, რა ფასადაც რკინის გზებისათვის შეიძინება სათბობი მასალა.

მუხ. 8. საქართველოს მთავრობა ვალდებულია ნება არ მისცეს საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებიდან ნავთისა და მის პროდუქტთა გარეთ გატანისა, რასაც ამ ხელშეკრულების ძალით ადერბეიჯანის რესპუბლიკიდან გამოიტანს. აგრეთვე ადერბეიჯანის რესპუბლიკაც ვალდებულია ადერბეიჯანის ფარგლებიდან ნება არ დართოს საქართველოდან ადერბეიჯანში გატანილ საქონლის გარეთ გატანისა ამ ხელშეკრულების მე-6 მუხლის თანახმად.

მუხ. 9. უკეთუ შეიქმნება უძლეველი გარემოება, ხელშეკრულების დამდებნი მხარენი თავისუფლდებიან ამ ხელშეკრულებით მიღებულის ვალდებულებისაგან იმდენად, რამდენადაც ხსენებული გარემოებანი ხელს შეუშლიან ამ ხელშეკრულების პირობათა შესრულებას.

მუხ. 10. ეხლანდელი სარკინისგზო ტარიფი სატრანზიტო ტვირთის და აგრეთვე საქართველოდან ადერბეიჯანში და ადერბეიჯანიდან საქართველოში მიმავალ ტვირთისთვის შეიძლება შეცვლილ იქმნეს მხოლოდ ხელშეკრულების დამდებ მხარეთა ერთმანეთთან შეთანხმებით. ხოლო თუ ბაქოს ნავთის მრეწველთა ყრილობის საბჭოს ნავთის გამყიდველი ბიურო გაუქმდა და თავისუფალ სყიდვითა და გატანით გამოწვეულ მეტოქეობის გამო ნავთისა და მაზუთის ფასმა აიწია, მაშინ თვითეულმა ხელშეკრულების დამდებმა მხარემ სარკინისგზო ტარიფი იმდენად უნდა გაადიდოს, რომ ნავთისა და მაზუთის ფასის გადიდების მიზეზით ტარიფის გადიდების მომთხოვნი მხრის რკინის გზის

ზარალი სავსებით დაიფაროს; ამასთანავე, მხარეთა შეთანხმებით, ტარიფის გადიდება უნდა განაწილდეს ყველა დარგის ტვირთსა და გადასახადზე.

მუხ. 11. მე-10 მუხლში მოხსენებულ ტვირთთა გაზიდვისაგან განაღდებული ფული ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოთა შორის პროპორციონალად განაწილდება თვითეულ სახელმწიფოს ფარგლებში გავლილ ვერსის მიხედვით.

მუხ. 12. საქართველოს რკინის გზის ექსპლოატაციისათვის საჭირო ნავთის გაცემა, აგრეთვე ადერბეიჯანის რკინის გზათა საექსპლოატაციოთ საჭირო მასალებისა და ტვირთის გაცემა განუწყვეტლივ უნდა სწარმოებდეს რკინის გზათა ექსპლოატაციის საჭიროების მიხედვით, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ წლიურ სახმარებლის გამორკვევის დაუცდელად.

მუხ. 13. ნავთსადენ მილით გადადენილ ნავთსა თუ კეროსინს საქართველოს რკინის გზა ჩაიბარებს ადერბეიჯანის რკინის გზისაგან სალოღლის სადგურზე განსაკუთრებულის აქტით და გადასცემს ბათუმში ან ადერბეიჯანის რკინის გზის მიერ ნაჩვენებ ადგილებში (პუნქტებში). ამ პროდუქტის მიღების შემდეგ საგანგებო შეთანხმებით განსაზღვრულ ნორმალ გადენის დაკლებულისა გარდა, და გადენილისათვის პასუხს აგებს საქართველოს მოვაჭრობა, მიზეზთა მიუხედავად.

მუხ. 14. ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე პასუხს აგებს აგრეთვე ყოველი ტვირთის მთლიანობა-შენახულობისთვის რაც კი რკინის გზითა თუ ნავთისსადენ მილით გაიყვლის თითო მათგანის ტერიტორიაზე, ნორმალ გადენის ვამოკლებით.

მუხ. 15. ნატანების სადგურზე, ქ. ფოთში, ქ. ბაქოში, იალმისა და სანაინის სადგურებზე მყოფებიან წარმომადგენელნი ადერბეიჯანის რესპუბლიკისა და საქართველოს რესპუბლიკის კუთვნილებისამებრ, რომელნიც თვალ-ყურს ადევნებენ ამ ხელშეკრულების მე-8 მუხლის შესრულებას.

მუხ. 16. რეული კომისია ყოველი ოთხი თვის დამლევს შეამოწმებს (გადასინჯავს) ადერბეიჯანის რესპუბლიკის ფარგლებიდან საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში შემდული ნავთისა და მის პროდუქტის განაწილებას საქმეს საქართველოს რკინის გზისა და საქართველოს მოსახლეობის შორის და აღმოჩენილის მიხედვით შეადგენს ანგარიშს გადასახადებისას, ბაქისა და სხვა.

მუხ. 17. მე-2, 6, 10 და მე-16 მუხლში მოხსენებული რეული კომისია ოთხის წევრისაგან შესდგება (ხელშეკრულების დამდებ თითო მხარისაგან ორ ორის), რომელნიც დანიშნებიან კუთვნილებისამებრ თითეულ რესპუბლიკის გზათა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრთა შეთანხმებით. იმ შემთხვევაში, თუ ამ კომისიაში შეთანხმება ვერ მოხერხდა, სადაო საკითხები გადაეცემა საარბიტრაჟო კომისიას, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოთ და სავალდებულოთ ითვლება ხელშეკრულების დამდებ ორთავ მხრისათვის.

მუხ. 18. ამ ხელშეკრულობის პირობათა გარეშე საქართველოში შეზიდული ქეროსინისა, ბენზინისა, ზეთეულისა და ნავთის სხვა პროდუქტისაგან, რომელიც კერძო პირთ კუთვნის, საქართველოს მთავრობას უფლება არა აქვს რეკვიზიცია მოახდინოს 25%, (ოცდახუთ პროცენტზე) მეტი. ეს არ ეხება სატრანზიტო ტვირთს, რომელიც რეკვიზიციას არ ექვემდებარება.

მუხ. 19. ამ ხელშეკრულების ვადა ერთი წელიწადია, ხელს მოწერის დღიდან; ამასთანავე იგი ფაქტიურად ამავე დღიდან შედის ძალაში. ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია უნდა მოხდეს ორსავ რესპუბლიკის პარლამენტებში, არა უგვიანეს ამა წლის მარტის ოცისა (20), რის შემდეგაც იგი სრულს ძალაში შედის. უკეთუ რატიფიკაცია ამ ვადაზე არ მოხდა, ხელშეკრულება დარღვეულად ჩაითვლება.

მუხ. 20. ხელშეკრულება ესე ორ ცალად იწერება, რომელთაგანაც ერთი რჩება ადერბეიჯანის რესპუბლიკის მთავრობას, ხოლო მეორე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას.

ვაჭრობა-მრეწველობის და მომარაგების მინისტრი მ. გაჯინსკი.

გზათა მინისტრი მ. ალანია.

საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ადერბეიჯანის მთავრობასთან გრ. გიორგაძე.

რუსულ დედანთან სწორია:

დამფუძნებელი კრების იურიდიული კომისიის თავმჯდომარე გრ. გიორგაძე.

არა ოფიციალური განყოფილება

შინაგან საქმ. სამინისტროში

ბინა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებისათვის.

გარეშე საქმეთა სამინისტრომ სათანადო შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა საქართველოში ჩამომსვლელ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლების საჭიროებისათვის, რეკვიზიციის წესით, განთავისუფლებულ იქნას მდგმურებისაგან მოქალაქე დავით მაჭავარიანის სახლი, 46 ოთახით, გრიბოედოვის ქუჩაზე, სადაც უნდა დაარსდეს განყოფილება სასტუმრო „ორიანტ“-ისა, რომელშიაც ამ ჟამად მოთავსებულია უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები და სივიწროვისა გამო, ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას.

მომარაგების სამინისტროს რწმუნებულის გამგზავრება კონსტანტინეპოლში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებულ ცნობებით, ამ დღეებში მიემგზავრება კონსტანტინეპოლში სამინისტროს საქმეებისათვის მოვაჭრაგების სამინისტროს რწმუნებული დავით საკაის ძე ქახელაძე.

უცხო ტომების სახელმწიფო სამსახურში დატოვება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ სთხოვა იუსტიციის სამინისტროს განმარტება, თუ რამდენათ შესაძლებელია უცხო ტომის ელემენტების სამსახურში დატოვება, რომელნიც, თანახმად მოქალაქეობის კანონის მე-2, 3 და 4 მუხლებისა, დღემდე არ ჩარიცხულან საქართველოს ქვეშევრომებათ.

განკარგულება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განკარგულება გაიცა სამოქალაქო ლომბარდის გამგისადმი, რათა, ყოფილ მე-17-ე ნიკევროდის პოლკის ოფიცერთა საზოგადოების ქონების სახელმწიფო ქონებად გამოცხადებისა გამო, აღნიშნული საზოგადოების მიერ სამოქალაქო ლომბარდში შეტანილი ვერცხლეულობა გადაცემულ იქნას შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკზეკუტორ ლ. ან. შოთნიევისათვის ტფილისის სახელმწიფო ბანკში შესატანად.

მატერიალური დახმარების აღმოჩენა.

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით ლეჩხუმის მაზრის, სოფელ სასაში მცხოვრებ მოქალაქე ერმალოზ ვლახოს ძე ონიანს მიეცა ერთდროული დახმარების სახით 3000 მან.

დასახიჩრებულთა კავშირის შეამდგომლობა.

საქართველოს რესპუბლიკის ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რათა ნება დაერთოს მათ მოახდინოს რეკვიზიცია ავტომობილებისა და ძუასი განსაზღვრულ ფასებში ჩოთქების სახელოსნოს საჭიროებისათვის, სადაც დასახიჩრებულნი-ყოფილი ხარის კაცები სწავლობენ ჩოთქების დამზადებას.

ერობა

მიმართვა კავშირის კომიტეტისა.

ერობათა კავშირის კომიტეტმა სამაზრო ერობებს შემდეგი მიმართვა დაუგზავნა: ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის მნიშვნელობა ყველასათვის ნათელია და ამის შესახებ სიტყვის გაგრძელება ერობათა კავშირის კომიტეტს ზედმეტად მიაჩნია; ცხოვრებამ აშკარად დამტკიცა, თუ რამდენად საჭირო საგანს შეადგენს ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა წვრილ ერთეულებში გახსნა, რათა სახელმწიფოებრივი მუშაობა მწყობრად და დაუყონებლივ მიმდინარეობდეს; სწორედ ამით აიხსნება, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ 1918 წლის 29 ოქტომბერს მიღებული იყო კანონი, რომელიც ამბობს: 1. „დაარსებულ იქნეს საქართველოს ყოველ სოფლის საზოგადოებაში ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის განყოფილება. 2. დაევალოს სოფლის საზოგადოებას უსასყიდლოდ დაამზადოს ადგილობრივად საჭირო ბოძები და ბიჯები. მიატანოს ადგილზე და დათხაროს ორმოები; ავრეთვე უსასყიდლოთ დაუთმოს ფოსტა-ტელეგრაფის საჭიროებისათვის ოთხთვალიანი სახლი გათბობა-განათებითა და დარაჯით სამი წლის ვადით, ფოსტა-ტელეგრაფის და ბინის მოსაწყობათ და ავეჯეულობის შესაძენათ გადაიხადოს ორი ათას ხუთასი მანეთი ერთდროულათ, ხოლო ტელეფონით სარგებლობისათვის ხუთასი მანეთი ყოველ წლიურად. 3. დაევალოს სასოფლო მილიციას ფოსტის გადატან-გადმოტანა...“

ეჭვს გარეშეა, რომ საერობო თვითმართველობანი, როგორც სახელმწიფოს მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, შეეცდებიან სავსებით შეასრულონ მოყვანილი კანონის მოთხოვნილება და დაამყარონ სახელმწიფოში სასურველი წეს-წყობილება. შესაძლებელია აქა თუ იქ, დროთა ვითარების გამო, შეფერხდა რაიმე ამ დაირგში და როგორც ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი მიმდინარე წლის 29 თებერვლის № 3746 თავის მიმართვაში აღნიშნავს, ეს თუ ის კანონიერი მოთხოვნილება უწყებისა თემის გამგეობის მიერ ჯერ არ შესრულებულა; მაგრამ ყოველივე ეს კომიტეტის ღრმა რწმენით, იმით არის გამრწვეული, რომ თემთა ორგანიზაცია ჯერ კიდევ სავსებით არ ჩამოყალიბებულა. ყოვლად წარმოუდგენელია, რომ ადგილობრივმა ერთეულებმა არ შეასრულონ თავისი მოვალეობანი იმისთანა სახელმწიფოებრივ საქმეში, როგორიც არის ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის საქმე; კომიტეტი დარწმუნებულია, რომ თვითმართველობის თუნდაც პატარა ერთეულისათვის გასაჭირი არ არის ერთი დარაჯის დაქირავება, ოთხთვალიანი ბინის შოვნა, იმის გათბობა და განათება, ერთდროულად ორი ათას ხუთას მანეთის გადადება და თავის მილიციონერებით ფოსტის გადატან-გადმოტანის მოწყობა. ერობის დაწესებულებანი, რასაკვირველია არასოდეს არ შექმნიან იმისთანა პირობებს, რომ ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი იძულებული შეიქნეს დახუროს სადმე განყოფილება ფოსტა-ტელეგრაფისა, ხოლო იმიტომ რომ ერობის დაწესებულებანი არ ასრულებენ, როგორც უფროსის ქაღალდებშია ნათქვამი, კანონით დაკისრებულ მოვალეობას.

ერობათა კავშირის კომიტეტი, აგზავნის რა ამასთან ერთად ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის მომართვის პირს, იმედოვნებს, რომ გამგეობის მხრივ სათანადო ზომები იქნება მიღებული ყოველივე იმის გასაქარწყლებლათ, რამაც გამოიწვია ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის ზემომოყვანილი მიმართვა.

მუნიციპალური ბანკი.

19 მარტს შესდგა ერობათა კომიტეტის მიერ მოწვეული თათბირი მუნიციპალურ ბანკის დაარსების საკითხის განსახილველად.

თათბირზე მოწვეულ იყვენ წარმომადგენლები ქალაქთა კავშირისა, დამფუძნებელი კრების საბიუჯეტო-საფინანსო კომისისი, სახელმწიფო ბანკის საბჭოსი, ფინანსთა მინისტრი და მისი ამხანაგები, სატარიფო პალატის წარმომადგენელი, წარმომადგენლები ამიერ-კავკასიის და მოსკოვის სახალხო და სახელმწიფო ბანკებისა, სახელმწიფო კონტროლის და ტფილისის სამაზრო ერობის. თათბირზე მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა ბანკის ტიპისა და მიზნების შესახებ.

თათბირმა დაავალა ერობათა და ქალაქთა კავშირის კომიტეტებს, შეიმუშაონ განსაზღვრული თეზისი, რომლის დროს მხედველობაში მიიღონ თათბირზე გამოთქმული მოსაზრებანი. საკითხის სირთულის გამო დადგენილ იქნა ხელმეორეთ მოწვეულ იქნას უფრო ფართო თათბირი, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ყველა დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

შუამდგომლობა.

ახალციხის ერობის მედიკო-სანიტარული განყოფილების შუამდგომლობა 22 ათასი მანეთის სესხათ მიცემისა ერობათა კომიტეტმა გადასცა მთავრობის თავმჯდომარეს.

აბრეშუმის თესლი.

ერობათა კომიტეტმა დაადგინა დაუყონებლივ მიღებულ იქნას ზომები აბრეშუმის თესლის შეძენისა და გავრცელების შესახებ. ამ საკითხის შემუშავება და მოგვარება დაევალა გ-ნ სტურუას.

დაკმაყოფილებულ იქნა ფოთის მომხმარებელ საზოგადოების „ეკონომიის“ გამგეობის შუამდგომლობა სხვა და სხვა საქონლის ნისიათ დათმობის შესახებ.

ქუთაისის საწყობი, რომელიც დღემდე გაუქმებული იყო ერობათა კომიტეტის დადგენილებით აღდგენილი უნდა იქნეს, რადგან საჭიროთა, აღიარებული მის არსებობა ქუთაისში.

სურამის ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ერობათა კომიტეტის წინაშე რათა, მხარი დაუჭიროს ცარცის ქარხნის შეძენას, რომელიც კერძო პირსა აქვს და ქალაქის გამგეობას სურს მისი შეძენა. ერობათა კომიტეტმა დაადგინა მხარი დაუჭიროს შუამდგომლობას.

ქალაქ. თვითმართველობაში

სოციალური დახმარების განყოფილება.

სახადილოები.

სოციალურ დახმარების განყოფილების მუშაობა გაფართოვდა. ამ ჟამათ ქალაქში არსებობს 3 იაფ-ფასიანი ქალაქის სასადილო. პირველი მადათოვის ქუჩაზე, № 5, მეორე კირკის ქუჩაზე, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების შენობაში, ხოლო ორი მარტიდან გაიხსნა აგრეთვე მესამე სასადილო ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე № 6. სადილი ორი თავისაგან შემდგარი ხორცეულობის ღირს 18 მანეთი № 1 და 2. მესამე №-ში კი 20 მ. ჩაი უშაქროთ 50 კაპ. შაქრით 5 მანეთი.

ბავშთა თავშესაფარი.

ქალაქში არსებობს ბავშთა თავშესაფარები „კაპეიკას კავშირის“ საზოგადოებისა და ვარანცოვ დაშკოვის. ქალაქის გამგეობა პირველ მათგანს ეხმარება თვიურად 2000 მან. ხოლო მეორეს 5000 მ. საბჭომ გადასდო აგრეთვე უმუშევარ ბავშვთა სასარგებლოთ 40 ათასი მანეთი თვიურათ. დადგენილია ვადატანილ იქნას ღამის თავშესაფარი, რომელიც დიდუბეშია სხვა ბარაკის შენობაში და ამ თავშესაფარში მიეცეთ 25 ოთახი უპატრონო ბავშებს და მოხუცებს. სოციალურ განყოფილებას აზრათ აქვს აგრეთვე შეადგინოს ფართე დემოკრ. საზოგადოება ბავშვების სოც. დახმარებისათვის, რისთვისაც წარდგენილ იქნება შესაფერი დეკლარაცია პროფ. კავშირთა საბჭოსადმი. ამ დღეებში გადაეცემა ქალაქს აგრეთვე ბავშთა ერთი თავშესაფარი.

ქალაქის სახელოსნოები.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქალაქის თვითმმართველობას გადასცა შენობა ყოფილ „შრომის მოყვარეთა“ საზოგადოებისა (ნიკოლოზის ქ. № 60 ამ შენობაში, რომელიც დიდია და სამ სართულიანი, მოწყობილ იქნება ქალაქის ყველა სახელოსნოები, რისთვისაც სოც. განყოფილებაჭ უკვე შეუდგა მუშაობას.

უფასო სადილები.

ამერიკის კომიტეტმა სოც. დახმარების განყოფილების აცნობა, რათა ქალაქმა მიიღოს მხედველობაში რომ ხსენებულ კომიტეტს შეუძლია 300 სადილი (ერთი თავი) მისცეს ქალაქის გაჭირვებულ მშივრებთ უფასოთ. სოც. განყოფილებამ კომიტეტს უკვე გაუგზავნა 200 მშიერი, რომელთაც ეძლევა უფასოთ სადილი.

საქართველო-ადერბეიჯანი და საბჭოთა რუსეთი.

გაზ. „ლ'ჰუმანიტეში“ დაბეჭდილია ადერბეიჯანისა და საქართველოს მისიების შემდეგი განცხადება:

ევროპიული და ამერიკული პრესა იძლევიან ცრუ ცნობებს უმაღლეს საბჭოს მიერ საქართველოსა და ადერბეიჯანის დელეგაციების მიღების შესახებ.

ამ ინფორმაციების მიხედვით, ამიერ კავკასიის რესპუბლიკებმა განაცხადეს თანხმობა ითამაშონ ბაზისის როლი ბოლშევიკების წინააღმდეგ განზრახულ შეტევითი ოპერაციებისათვის.

საქართველოსა და ადერბეიჯანის მისიები აცხადებენ, რომ მოკავშირე სახელმწიფოთა არც ერთ წარმომადგენელს ასეთი წინადადებით არ მოუმართავს, და რომ მოლაპარაკებანი როგორც უმაღლეს საბჭოში, ისე ცალკე კომისიებში, განსაკუთრებით ეხებოდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა დაცვაში მტრისგან თავდასხმის დროს.

ამ მოლაპარაკებათა დროს საქართველოსა და ადერბეიჯანის დელეგატებმა აშკარად გამოსთქვეს, რომ მათ ერებს არავითარი განზრახვა არა აქვთ დაიწყონ შეტევითი ბრძოლა არც ბოლშევიკებისა და არც სხვათა წინააღმდეგ, მაგრამ რომ ეს ერები ადგებიან როგორც ერთი კაცი სამშობლოსა და დამოუკიდებლობის დასაცავად როგორც ბოლშევიკების თავდასხმისა, ისე დენიკინის მუქარის წინააღმდეგ.

მოლაპარაკება გამართული იყო ჩვენი რესპუბლიკათა შესახებ იმ თავდაცვისა და დახმარებისი, რომელთაც მათ აღმოუჩენენ მოკავშირე სახელმწიფონი, როგორც უმთავრესად სურსათით, ასევე იარაღით და სხვა საჭ-

ხედრო მასალებით მათი მდგომარეობის, მათი საზღვრებისა და დამოუკიდებლობის დაცვის მიზნით".

საქართველოს მისიის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

ადერბეიჯანის მისიის თავმჯდომარე ა. ჭ. თოფჩიბაშევი.

მიწის ძვრის გარშემო.

მოწოდება.

მოქალაქენო! ბათუმის საკითხმა დაჩრდილა დაჰფარა დროებით ჩვენი ცხოვრების სხვა საკითხები; ბათუმის ბედმა დაგვაინტერესა სხვა ყოველივე.

ამაშია დიდი შეგნება ჩვენი ხალხისა, მაგრამ გორსა და გორის სოფლებს — მიწის ძვრისაგან გაოხრებულს და გაპარტახებულებს —ნუ დაივიწყებთ. გორის აღდგენას, განადგურებული სოფლების აშენებას გვავალებს ისტორია.

მეტად იშვიათ, არა ჩვეულებრივ დიად დროში ვცხოვრობთ. ჩვენს ცხოვრებას და მოქმედებას ისტორია აღბეჭდავს თავის ფურცლებზე,

ვაი ჩვენი ბრალი, თუ ისტორიამ ჩვენ ასეთი განაჩენი გამოგვიტანა: დროის შესაფერისნი, მომენტის ღირსნი ვერ გამოდგნენო.

მოქალაქენო! ჩვენს ხელთ არის ქვაბამტკიცოთ, რომ ჩვენ ღირსნი ვართ სახელისა, ღირსი ვართ ისტორიაში ქებით ხსენებისა.

უღირსი ადამიანია ის, ვინც ასეთ დროს მომავალზე არა ფიქრობს.

განახლებულ საქართველოს განახლებული გორი ესაჭიროება.

გორი უნდა განახლდეს, გორი უნდა აღდგეს.

რითი?

ჩვენის დახმარებით, ჩვენის თანაგრძნობით.

ღირსეულ ადამიანს სიკეთის ქმნა არასოდეს არ უნდა მოსჭარბდეს.

მოქალაქენო! დაუმტკიცოთ ყველას, რომ ჩვენ ღირსეული ადამიანები ვართ.

ნუ მოგწყინდებათ დახმარება, ნუ მოგწყინდებათ გორელებისათვის თქვენი წვლილის გაღება.

დაზარალებულთა დამხმარე მთავარი ბიურო.

შემოწირულება

გაზ. „საქართ. რესპუბ," კანტორამ მიიღო: გორონცოვკის საბაჟოს მოხელეებისა, იმავე საბაჟოს დარაჯებისა და საბაჟოში იმ მოვაჭრე პირთა შორის შეგროვილი 2285 მან. სია შემომწირველთა: სიხარულიძემ 250 მ., ყვავაძე 200 მან., ას-ასი მან. ბარკალაია, ვალნერი, ვ. დასაევი, ვამშპევ, ვ. ბურცევ, ნოვოსელცევ, ნოვოსელცევი 200 მ., ზაბროსკოვ 250 მ., ათ-ათი მან. კასიმ-ოღლი, ვერეშაი, მინაკოვ, მინაკოვ, სიროვატკინ, კიაზიმ-ოღლი, ახმედ-ოღლი, უსახელო 1 მ., ხუთ-ხუთი თუმანი: პანაიოტოვ, იაზნიკოვ, ბუჩნევ, ბურდენკო, ჰარაევ, სემიონოვ, სულეიმან-ოღლი 21 მ., ჩერნოგლაზოვ 25 მ., ა. მილა-ოღლი, ტიაპკინ 30 მ., ზოლნიკოვ 25 მ., მ. ნოვოხელცევ 30 მ., დანილევ 30 მ., ისა მუსტაფა-ოღლი 3 მ., ოსმან-ოღლი 6 მ., ალი-ოღლი 5 მ. სამ-სამი მან. მოლლა ფაშა-ოღლი, ოსმან-ოღლი, ომარ-ოღლი, ბუნიაევ 25 მან., პოპოვ 15 მან., კოროლიოვ 12 მ.

—

ჩოლაბარგო (გურია) პირველ-დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა და მოწაფეთა შორის შეგროვილი 327 მან. ფული გადაეცა მთავარ კომიტეტს.

მთავრობის კანცელარიაში მიღებული შემოწირულება.

მთავრობის კანცელარიაში გორის ფონდის სასარგებლოდ დღემდე შემოსულია შემოწირულებები:

პეტრაშევსკის გიმნაზიის მოწაფეებისაგან 1700 მ., ტფილისის სადგურის შეშის მუშებისაგან 750 მ., ტფილისის კონსერვატორიის დირექტორისაგან საღამოზე და მოწაფეებისაგან შეგროვილი 6170 მ., ტფილისის ფიზიკურ ობსერვატორიის მოსამსახურეებისაგან 3430 მ., ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებისაგან 7000 მან., მეეტლეთა პროფ. კავშირისაგან 13,150 მ., ტფილისის გერმანულ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის მოწაფეთაგან 2416 მ. 89 კ., სადგურის ტყის ზედამხედველებისა (ლესნიჩები) და მათ თანაშემწეთაგან 1150 მან., კავთისხევის სათემოდან 18,000 მ., ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტის მოსამსახურეთაგან 1580 მ., ლიტვის მისიის მოსამსახურეთაგან, ლიტვის კოლონიის წევრთაგან და ლიტვის საქველმოქმედო საზოგადოებისაგან 10,000 მ., კოჯრის მილიციის უფროსისგან 1381 მან., კბილის ექიმთა საზოგადოებისაგან 1100 მან. სულ დღემდე 604,470 მან. 39 კაპ.

ანჩისხატის ტაძარში

მიწის ძვრისაგან დაზარალებულ გორელების სასარგებლოდ ანჩისხატის ტაძარში მორწმუნეთა შორის შეგროვილ იქმნა 1.422 მან., თვით ტაძრის საშუალებათაგან გადაიდო ასი თუმანი, სულ 2.422 მან. გადაეგზავნა საკათალიკოზო საბჭოს.

უცხოეთი

სირიის ახალი პოლიტიკური პარტია.

გაზეთ „მორნინგ პოსტის" გადმოცემით ქ. დამასკში დაარსებულა სირიის ნაციონალური ახალი პარტია, რომელსაც ხელმძღვანელობს ემირი ფეიკალი. პარტიის უმთავრეს მიზანს შეადგენს: სირიაში არაბთა ყველა მიწების შემოერთება, სრული სწორუფლებიანობა მოქალაქობრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, მონარქიული წესწყობილობის დამყარება, სწავლა-განათლების საქმის მტკიცე ნიადაგზე დაყენება და სხვ.

რკინის გზა თეირან-კასპიის ზღვამდე.

ინგლისის რკინის გზის კომპანიას მიუღია სპარსეთიდან წინადადება, რათა მათ შეკრან კონცესსია სპარსეთთან რკინის გზის გაყვანის შესახებ, რომელიც შეაერთებს თეირანს კასპიის ზღვის სანაპირო მხარეებს.

მონარქიული მანიფესტაციები ვენაში.

ვენის ერთ-ერთი ადგილობრივი გაზეთი იტყობინება რომ ქ. ვენაში მომხდარა დიდი მონარქიული მანიფესტაციები. ამ საქმის ინიციატორებად გამოსულან სტუდენტები და ოფიცრები, დემონსტრანტებს გაუვლიათ მთავარი ქუჩება სიმღერით, პლაკატებით სადაც წერებულა: „გაუმარჯოს იმპერატორ კარლს", „ძირს რესპუბლიკა". მალე დემონსტრანტები დაქსაქსული ყოფილან სახალხო გვარდიის მიერ.

საბჭოთა რუსეთში.

რიგიდან იტყობინებიან რომ მოსკოვში გაემგზავრა ლიტვის წითელ ჯარის მისსია. მისსიას მიზნად აქვს დაუბრუნოს უცხოეთის ხალხისათვის სამშობლოს და გადმოიყვანოს ის სამხედრო ტყვეები, რომელთაც მოსვლის ნება დართეს საბჭოთა მთავრობამ.

ოსმალეთის დელეგაცია.

პარიზში ამ დღეებში მიელიან ოსმალეთის საზავო დელეგაციას.

სომეხთა დარბევა კილიკიაში.

კონსტანტინოპოლიდან სომეხთა პატრიაქი ზავენ იტყობინება, რომ კილიკიაში მომხდარ სომხეთის დარბევის საქმე მან გამოიკვლია და მისი ლიკვიდაციაც მოახდინა.

ბელგიის კონსტიტუციის გადახედვა

დეპუტატთა პალატის კომისია, რომელიც მუშაობს სოციალისტ ბრიუნეს ხელმძღვანელობით ბელგიის კონსტიტუციის გადაშინჯვას აპირობს.

ხალხთა ლიგის კრება.

რომიდან იტყობინებიან 25-ან 26 თებერვალს რომში შესდგება ხალხთა ლიგის კრება.

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტოსაგან)

ფრანგული პრესა.

ფრანგული გაზეთები შემდეგ ცნობებს გვაწვდიან ბილიერანის მიერ გაკეთებულ განცხადების შესახებ, რომელიც ვატიკანთან საფრანგეთის საელჩოს დაარსებას ეხებოდა. თავდაპირველად ბილიერანმა დეპუტატებს მოაგონა, რომ უწმ. ტახტთან დამოკიდებულობის აღდგენის შესახებ მან წინადადება შემოიტანა 10 თებერვალს, მაშინ, როდესაც ამას ქვეყნის ინტერესები მოითხოვდა. მან გადაშალა ის მოტივები, რომლებმაც მისი ამგვარი წინადადება გამოიწვია. საკითხი ეხება არა კონკორდატის შეცვლას, არამედ ჩვენი ელჩის რომში ყოფნა მეტ სიმძიმეს მისცემს იმ წინასწარ მოლაპარაკებას, რომელიც ეპისკოპოზების დანიშვნას ეხება.

ინგლისური ცნობები.

(დასაწყისი არ მიგვიღია)... ბერლინიდან რეიტერის სააგენტოს შემდეგი ცნობები მოუვიდა: „ოფიციალურათ აცხადებენ, რომ დაუპატიმრებიათ გენერალი ფონ ლიუტვიცი და ამირბარი ფონ ტროტი. გაფიცვის კომიტეტმა ერთხმად დაადგინა, რომ ოთხშაბათს მუშაობას შეუდგენ. რურის ოლქში მოსალოდნელია უფლებისათვის ბრძოლა სპარტაკელებისა და მთავრობის ჯარებს შორის, ამ ოლქში გაემგზავრენ ბაუერი და გისბერტსი. შესაძლებელია მოკავშირენი ნებას მისცემენ გერმანიას, რომ მან ნეიტრალურ ზონაში ჯარები გაგზავნოს. ამ ჯარებთან იქნება მოკავშირეთა ოფიცრები. გუშინ ბერლინში მშვიდობიანობა იყო. არის ხმები თითქოს შეტაკებანი ყოფილიყოს სატახტო ქალაქის ახლო, შპანდაუში, ავრეთვე ჰალეში, საქსონიაში, გოტში და ჯრეინის ოლქის სხვა ადგილებში.

სამრწველო საბჭომ მიიღო დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ნაქსოვი ბალის გატანის შესახებ. აქამდის აძლევდენ მხოლოდ დაბალი ხარისხის შალის გატანის უფლებას. საბჭომ გადასწყვიტა ნება დართოს შალის ყოველგვარ ნაწარმოების გატანის ყველა სახელმწიფოებში, გარდა ბოლშევიკურ რუსეთისა. ფიქრობენ, რომ ეს გადაწყვეტილება ამერიკაში დააჩქარებს ვირვანქის ვალიუტის აწევასო. საამირბაროს პირველმა ლორდმა ლონგმა ქედა პალატაში აზრი გამოსთქვა წყალქვეშ ბრძოლის აკრძალვის შესახებ. ინგლისის საამირბარო მზათ იყო წყალქვეშა ბრძოლის სრული მოსპობის შესახებ შემოეტანა წინადადება, მაგრამ შემდეგში ცოტა ეჭვი შეიტანა ამ ნაბიჯის მიზანშეწონილებაში. პარიზის კონფერენციაც შეეჭვდა წყალქვეშა ბრძოლის მოსპობაში, რადგან იგი ფიქრობდა, რომ ერთა ლიგამ ხელი არ უნდა შეუშალოს პატარა და ღარიბ ქვეყნებს, რომელთაც არ შეუძლიათ დიდი გემების ყოლა ამგვარი საშვალებებით თავი დაიცვანო.

„მორნინგ პოსტის" ცნობით ერთა ლიგის მიერ რუსეთში ინგლისის წარმომადგენლად მოწვეულია ლორდი ემოტი.

როდესაც ვიგოს ნაპირებზე ინგლისის ატლანტიკის ფლოტი იმყოფებოდა, ჰაეროპლანი აფრინდა და კვლავ ჩამოფრინდა სამხედრო გემი „ფიურიესის" ბაქანზე. ეს პირველი ამგვარი შემთხვევაა. ჰაეროპლანი თუმცა ბევრჯელ აფრენილა ამ გემიდან, მაგრამ ამავე გემზე უკან ვერასოდეს ვერ ჩამოფრენილა.

უმავთულო ტელეფონის გაუმჯობესების შესახებ „დეილი ნიუსი" სწერს მესაჯერს გამომცემელ სენიორ ათოლ-კასიტოს რომის გარე სადგურს მყოფ სტენოგრაფისტებისთვის ჩემს ფორდიდან დაუბრკოლებლივ შეეძლო ეკარნახა 500 სიტყვისაგან შემდგარი წერილი ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც უმავთულო ტელეფონით სარგებლობენ სახელმწიფოთა შორის პრესის საჭიროებისათვის.

მიუხედავათ ბოლშევიკური ცნობებისა, მათ ვერ შესძლეს ყირიმის ველზე გადასვლა. ბოლშევიკები პერეკოპის ჩრდილოეთით გადადენეს.

დრეზდენიდან იუწყებიან: დამოუკიდებლებმა საქსონიაში რესპუბლიკა გამოაცხადეს კომუნისტ ხელზის მეთაურობით, რომელმაც გამოტოვებულია) ფული საფოსტო კანტორაში და სხვა ბალშევიკები. ყველა მაღაზიები დახურულია. ამბობენ რეინის ვესტფალის მთელი ოლქი კომუნისტების ხელშიაო.

უცნობი სადგურიდან.

რომიდან მოსული დეპეშა იუწყება რომში ფრანგ დიპლომატის დიულსეს ჩამოსვლის შესელის შესახებ. მას დავალებული აქვს შეისწავლოს საფრანგეთისა და უწმ. ტახტთან დიპლომატიური დამოკიდებულობის აღდგენის საკითხი. რადგან მის მისიას დროული ხასიათი აქვს, ამიტომ პაპა მას არ მიიღებს.

ეკატერინოდარის რაიონში ჩვენ ილინსკოე ავიღეთ. სამხრეთით, ჩვენი ჯარი მტრის ზურგს უქან მომქმედ მწვანე არმიას შეუერთდა. სტავროპოლის რაიონში მდ. ყუბანზე შეტევა გრძელდება. სერგიოპოლის რაიონში სად. უჯარსკაზე შეტევა გრძელდება.

მოსკოვი, 26 მარ. ვერხნე-უდინსკში ეროვნებათა წარმომადგენლებისაგან არჩეულმა მთავრობამ გადასწყვიტა შეაჩეროს წითელი ჯარის წინააღმდეგ მოქმედება და ჩიტაში დელეგაცია გაგზავნოს პირობების გამოსარკვევათ.

საზღვარ გარეთ.

მიუხედავათ იმისა, რომ გერმანული გაზეთები სწერენ: ბერლინში მდგომარეობა უკვე ნორმალურიაო, ქალაქებში მუშების მღელვარება არ სწყდება. დაბრუნებული მთავრობა მუშათა წინააღმდეგ სამხედრო ზომებს არ ღებულობს, მაგრამ არ აძლევს მათ ელექტრონ გაზს და წყალს. რურის ხეობაში ჯერ კიდევ საბჭოთა მთავრობაა. მან ებერტის მთავრობას წინადადება მისცა, რომ მუშებს არ შეუწყვიტოს სურსათის მიწოდება, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრება ნახშირის დამუშავების შეწყვეტით. გერმანიის მთავრობა იარაღით ფიქრობს რურის ოლქში საბჭოთა მთავრობის დამხობას. რადგან საზავო ხელშეკრულობის თანახმად გერმანელებს არა აქვთ უფლება ამ ოლქში ჯარის შეყვანისა, ამიტომ მთავრობა სთხოვს მოკავშირეებს საგანგებო ნებართვას საბჭოთა მთავრობის საწინააღმდეგოთ შეიყვანოს იქ 100.000 ჯარის-კაცი. მოკავშირენი თანახმდებიან იმ შემთხვევაში, თუ ამ არმიას უსარდლებენ მათი ოფიცრები. ჯერ კიდევ გერმანიის მრავალ ქალაქში მუშებსა და ჯარს შორის ბრძოლა სწარმოებს. პროფესიონალურმა კავშირებმა გამოაცხადა რა გაფიცვების შეწყვეტა, მთავრობას წარუდგინა მთელი რიგი მოთხოვნილებათა. გერმანიის მუშები მოითხოვენ: მინისტრთა არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებას, ყველა იმ პირთა დასჯას, რომლებიც კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებში მონაწილეობას იღებდა, კონტრ-რევოლიუციონური მოხელეების გადაყენებას და მთავრობის დაწესებულებების რეფორმებს დემოკრატიულ საფუძველზე. მოითხოვენ აგრეთვე მთელ რიგ სამრეწველოების სოციალიზაციას და სურსათის პირობების გაუმჯობესებას. მთავრობას ეს პირობები მისაღებათ მიაჩნია. ლიტვასა და პოლონეთის შუა დამოკიდებულობა ისე გამწვავდა, რომ შეიძლება ეს ორი მხარე საომარ მდგომარეობაში ჩაითვალოს. ლიტოვილთა ჯარმა დვინსკ-ვარშავის ხაზი დაიჭირა. მთელ ფრონტზე ბრძოლაა.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკას" კანტორა აცხადებს,
რომ მიმდინარე წლის 1 აპრილიდან გაზეთი ეღირება თვიურად 70 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 3 მანეთი. განცხადების ფასი: პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. ტექსტის შემდეგ—3 მ. 50 კ. სამგლოვიარო. განცხადება ჩვეულებრივი ზომის 140 მან. ნისია განცხადებებზე გადახდება ნიხრზე მეტი 20 პროცენტი. ვისაც გაზეთი უკვე გამოწერილი აქვთ უნდა გადაიხადონ 1 აპრილიდან დამატებითი ფასი.

მოხალისეთა განიარაღება.

ყაზბეგი (დეპეშა). 24 მარტს, დილის 7 საათიდან ჩვენ განვაბალეთ მოხალისეთა რაზმების გამოშვება. საღამოს 6 საათზე იმათი ნაწილები უკვე გამოშვებული იყვნენ. ორი დღის განმავლობაში გამოვიდნენ: 8 ათას კაცამდე, 3,000 ცხენი, რამდენიმე ასი „პოდვოდები", 21 საბარგო ავტომობილები, 6 სამგზავრო ავტომობილი, 13 მოტოციკლეტი და რამოდენიმე ათეული აქლემი. დარიალში ჩამორთმეულია 7.000-მდე ვინტოვკა, 150 ტყვიისმფრქვეველი, 10 ზარბაზანი, 13 ჰანორამა, 2 ტანკა, ახალი რადიო-სადგური და დიდძალი ტეხნიკური ქონება. გამოქცეულთ სურსათი არა აქვთ. ამინდი წახდა. ამის გამო დახეულ ნაწილთა და ლტოლვილთა მდგომარეობა ძლიერ გართულებულია. არის შემთხვევები სიცივისგან ბავშვთა სიკვდილისა.

ჯუღელი, გურული, ყოფილი, ფინიევი, ქარცივაძე.

ბათუმის ამბები.

— როგორც ქობულეთიდან გვატყობინებენ „ითთიჰადი-ვე-თერეჯი"-ს პარტიის წევრებს, ოსმალეთიდან გამოქცეულ შეარაღებულ აფიცრობას თავი მოუყრიათ ქობულეთში ჩეთნიკებთან ერთად და ხალხს საქართველოსთან შეერთების წინააღმდეგ მოუწოდებენ. ვინც მათ წინააღმდეგ მიდის იარაღითაც ემუქრებიან. ხალხი ამის გამო მეტად აღელვებულია, ითხოვენ საჩქარო დახმარებას, მაგრამ ჯერ ჯეროვნით მშველელი არავინა სჩანს.

— კვირას, 21 მარტს დ ქობულეთში საოჯახო წრის დარბაზში ბ. ბ. აკ. გვარამიას და ზია ეფ. ხარაზის ხელმძღვანელობით გაიმართა საღამო კაბარე გორში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ. საღამოს ხალხი ბლომად დაესწრო და სასურველათაც ჩატარდა. ყველა, განურჩევლად ეროვნებისა, ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა დაზარალებულ ძმების დახმარების საქმეში.

— 19 მარტს საღამოს 10 საათზე შეიარაღებული ბოროტმოქმედნი თავს დაესხენ ხუსეინ ალი რასულ ზადეს, წაართვეს ფულათ

33 ათასი მანეთი და სხვა და სხვა ნივთები ღირებული 58000 მანეთად. ბოროტმოქმედნი მიიმალენ.

— 21 მარტს შესდგა თვითმართველობის მოსამსახურეთა კრება. რეზოლიუცია წარედგინა ბ-ნ გუბერნატორს.

აზერბეიჯანი

სპარსეთ-აზერბაიჯანის კონფერენციის საქმეების დამთავრება.

მარტის 20-ს შესდგა სპარსეთ-აზერბეიჯანის კონფერენციის უკანასკნელი სხდომა. კონფერენციაზე დაესწრო მთელი სპარსეთის დელეგაცია სეით ზიაეტინის ტაბა-ტაბის მეთაურობით. კონფერენციას დაესწრნენ აგრეთვე საგარეო საქმეთა, იუსტიციის, ვაჭრობა-მრეწველობის, გზათა და ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრებიც. სხდომაზე მიიღეს და ხელი მოაწერეს შემდეგ კონვენციებს: 1) ფოსტის, 2) საკონსულოს, 3) ხელშეკრულობა მეგობრულ განწყობილობის, 4) ფოსტაზე გადაგზავნს-გადმოგზავნის შესახებ, 5) ტრანზიტის შესახებ, 6) საბაჟო, 7) სატელეგრაფო კონვენციას. სხდომის დასასრულს კონფერენციაზე მოვიდა პრემიერ მინისტრი ნ. ბ. უსუბეკოვი. სხდომის გათავების შემდეგ კონფერენციის დასრულების გამო გაიმართა ბანკეტი, რომელზედაც სპარსეთის დელეგაციის მეთაურმა ტაბა-ტაბიმ გამოაცხადა სპარსეთის მთავრობის სახელით, რომ სპარსეთი ალიარებს აზერბეიჯანის რესპუბლიკის—de jure.

ხელოვნება.

ხელოვნების ცენტრი.

მარტის 25 შესდგა ხელოვნების ცენტრის საბჭოთა კრება. კრებას დაესწრენ: დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიის წევრნი და განათლების სამინისტროს წარმომადგენელნი. კრებამ მოისმინა ბ-ნ კრესტოვსკის მოხსენება კინემატოგრაფის გასახელმწიფოებრიობის შესახებ. მოხსენება მეტად საინტერესო გამოდგა. ხელოვნების ცენტრის საბჭოს წინადადებით მოხსენება მიღებულ იქმნა.

ბ-ნ კრესტოვსკის მოხსენება შეიცავდა შემდეგ ფუნქციებს: კინემატოგრაფის ნაციონალიზაცია, მისი გასახელმწიფოებრიობა, კინო-ფილმების, ატელიების დაარსება, სადაც სპეციალურად მოეწყობა სურათების გადაღება. კინემატოგრაფი მიაქცევს ყურადღებას ცხოვრების ყოველ დარგს. მას შეუძლიან მრავალი მნიშვნელოვანი სურათები-მთელი რიგი სერიები გამოუშვას, როგორც ფოტოგრაფიულ, ისე მხატვრულ შინაარსის.

ხელოვნების ცენტრის საბჭომ მიიღო რა მხედველობაში კინემატოგრაფის დიდი მნიშვნელობა სახელმწიფოსთვის, გადასწყვიტა შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე რათა მოხდეს კინემატოგრაფის გა ხახელმწიფოებრიობა დადაარსდეს ტფილისში სპეციალია ტელიები.

დრამატიულ საზოგადოების გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე, გამგეობის წევრთა მიერ დადგენილ იქმნა, რომ საბოლოოდ გადასწყვიტონ არტისტიულ თეატრის რექვიზიციის საქმის დაჩქარება. გამგეობის წევრებმა წინადადებით მიმართეს ქალაქის გამგეობას, რომ მან ერთი კვირის განმავლობაში პასუხი გასცეს თუ თეატრი როდის გადაეცემა დრამატიულ საზოგადოებას რათა დაუყონებლივ შეუდგეს მომავალ სადრამო სეზონისთვის მზადებას.

სენატში

1920 წლის აპრილის 1 დღესა სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დებარტამენტის განყოფილების საკრებულო სასამართლო სხდომაში განსახილველად დილის 10 საათზე დანიშნულია შემდეგი საქმეები:

საქ. № 36 მაგ. 1. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ მიხეილ სოფრომის ძის გაბადაძისა ტფილისის საგანგებო სასამართლოს განაჩენზე. გაბადაძეს ბრალდება დანაშაული გათვალისწინებული 1480 მუხ. დებ.

საქ. № 10. საგ. 1. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ დიმიტრი ივანეს ძის ჩხიკვიშვილისა ტფილისის სასამართლო პალატის განაჩენზე. ჩხიკვიშვილს ბრალდება დანაშაული, გათვალიწინებული 16,286 მუხ. სასჯ.

საქ. № 62. მაგ. 1. საკასაციო საჩივარი ალექსი ყარაზის ძის პაპლიკაშვილისა ტფილისის საგანგებო სასამართლოს განაჩენზე. პაპლიკაშვილს ბრალდება დანაშაული, გათვალისწინებული 1 მ. 1634 და 2 ნაწ. 1459 მ. მ. სასჯ. დებ.

საქ. № 13. მაგ. 2. საკასაციო საჩივარი ვასილ კიმოთეს ძის მგალობლიშვილისა ქუთაისის სამომრიგებლო ოლქის ყრილობის განაჩენზე.

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულოს 1920 წლის მარტის 29 სხდომაზე განსახილველად დანიშნულ საქმეთა ნუსხა.

(სხდომის გახსნა დილის 10 საათზე).

1. საქმე მიხეილ და ოქროპირ შოშიტას ძეთა ხონელიძეების პარმენ ლევანის ძე და ვასასია დარისპანის ასული ადეიშვილებთან მამულის საკუთრების უფლების თაობაზე.

2. საქმე ნიკა ჰიქაძისა და გარდაცვალებულ ვასო ჰიქაძის ქონებისა და ობლების მოურავის ივანე ჰიქაძისა თედო და ვასიკო ალუდიშვილებთან მამულის თაობაზე.

3. საქმე მიკირტიჩ ვარტაზარიანცისა და საკო სუკიასოვისა გიგო (იგივე გრიგოლ) არუთინოვთან 300 მან. თაობაზე.

4. საქმე ნავთის ამხ. „სვეტისა" აბდულ გაჯი გეიდარ ოღლისთან 488 მან. 88 კაპ. თაობაზე. და უკანასკნელის თურინჯა ლასოვის შესახვედრ სარჩელის შესახებ.

ფოსტა-ტელეგრაფში

განახლდა ტელეგრაფის მოქმედება არტაანის ფ.-ტ- კანტორაში. კორესპონდენციის გაცვლა-გამოცვლას აწარმოებს ახალციხის კანტორასთან.

— სოფ. ახალქალაქში (გორის მაზრა) გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, რომელიც ტელეგრაფის მოწყობამდის წარმოებს მარტო ფოსტის ოპერაციები. კორესპოდენციას სცვლის ფოსტის ვაგონებთან სადგურ გრაკალზედ, რომელსაც შორავს რვა ვერსით.

— ფოსტის განყოფილება იხშეტა (თიანეთის მაზრა) გარდაიქმნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებად.

— კავკავთან ტელეგრაფის კავშირის უქონლობის გამო დროებით შეწყვეტილია ჩრდილოეთ რუსეთში მიმართული დეპეშების მიღება.

ბიულეტენი საქარ. ფიზ. ობსერვატორიის

ტფილისი 25 მარტი, 1920 წ.

ნაშუად. 1 საათ. ჰაერის წოლა მმ.: 731.0; ჰაერის ტემპერატ.: 11.7; შეფარდებ. სინოტ. %: 59; მოღრუბლ.: 10: ქარი: SE 3; დედა მიწის ზენაპირ. ტემპერ.—მოშიშვლებ.: 21.6; ბუნებრივ.: 19.5.

